

ქეთევან ახოზაძე,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი (PhD)
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება დღევანდელი ქართულის სახვითი ხელოვნების პრობლემატიკის საკითხებს იმ დღევანდელ სოციოკულტურულ გარემოში, რომელიც საქართველოში ამ დროსივრცულ განზომილებაში რეალურად არსებობს. XXI საუკუნის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სოციოკულტურული სიტუაცია მთლიანად შეიცვალა და ცვლილებებმა გამოძახილი – კულტურის სფეროში, განსაკუთრებით კი, სახვით ხელოვნებაში პოვა. შევეცდები, წარმოვადგინო არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

ქართული სახვითი ხელოვნების პრობლემატიკა დღევანდელ სოციოკულტურულ სივრცეში

საკვანძო სიტყვები: კულტურა, სახვითი ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება/Contemporary Art, სოციოკულტურული გარემო, კულტურის კრიზისი

როგორც ვიცით, პროცესი – რაიმე მოვლენათა თანამიმდევრული მონაცვლეობა, რისამე განვითარების, წინსვლის გზაა. თანამედროვე ხელოვნება, რომელსაც Contemporary art-ს უწოდებენ, დღევანდელ არტპროდუქციას გულისხმობს. როგორც ვიცით, ინგლისურ ენაში სიტყვები „modern“ და „contemporary“ სინონიმებია, თუმცა ტერმინები „modern art“ და „contemporary art“ სრულიად განსხვავებული, ფართო და კონკრეტულებს მოკლებული მნიშვნელობისაა.

მრავალი მკვლევარი მუშაობს ამ საკითხებზე, ამიტომ მათი თვალსაზრისებიც არაერთგვაროვანია, მაგრამ ერთ საკითხში ყველა თანხმდება, რომ დიდი ცვლილებების დასაწყისი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ხელოვნებაში ვლინდება და განსაკუთრებით,

60-იან წლებში, როცა მრავალი ახალი სტილის, მიმდინარეობის გამოკვეთა აღინიშნა და მხატვრებში (არა მხოლოდ მხატვრებში), ადამიანის ყოფიერების შესახებ, მსოფლმხედველობის კარდინალური ცვლილებები მოხდა.

XXI საუკუნის 20-იან წლებში „Modern Art“ და „Contemporary Art“ ტერმინთა გამოყენების დროს, მისი ბუნდოვანების გამო, მუზეუმებმაც, გალერეებმაც გამოსავალს მიაგნეს და გამოფენების კეთებისას ფრაზა - „Modern and Contemporary Art“ გამოიყენეს.

ამით ისინი პრობლემას თავს არიდებენ. თუმცა, როგორც მრავალი ექსპერტი აღნიშნავს, კომერციული გალერეები და სხვა უწყებები 2000 წლიდან მოყოლებულ ხელოვნებას „Contemporary Art“-ს, ხოლო „მხატვარს“ - კონკრეტულად ფერმწერს უწოდებენ და „არტისტს“ კი - სხვა მიმართულების შემოქმედს.

ტერმინს „Contemporary Art“ წარმოშობის თავისი ისტორია გააჩნია. სამწუხაროდ, სტატიის ფორმატი ამის გაშლის საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამერიკელმა ხელოვნებათმცოდნემ და კრიტიკოსმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა როზალინდ ეპშტეინ კრაუსმა (1941), დევიდ სმიტის შემოქმედებაზე დაწერილი თავისი დისერტაციით,¹ ერთგვარად, დაამკვიდრა ტერმინი სამეცნიერო სივრცეში.

კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ხელოვნება/Contemporary Art „გენეტიკურად დაკავშირებულია ავანგარდის ან მოდერნიზმის ხელოვნებასთან, მაგრამ ფერწერული ენების ახალ რაუნდს წარმოადგენს, აქცენტით საკუთრივ ლინგვისტურ მოდელებზე (რაც ამ პერიოდის ყველა სხვა ტიპის კულტურისა და ცოდნის ფორმისთვისაა დამახასიათებელი). იგი ტექნიკის მზარდ დიაპაზონს მოიცავს, როგორც ტექნოლოგიის განვითარებით, ასევე ადამიანის - საკუთარი თავის, სამყაროში მისი ადგილის ცოდნით“. თანამედროვე ხელოვნების თემატური სპექტრი უსასრულოდ ფართოა, რომელიც ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ გამოვლინებაზე რეაგირებს და ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ზოგჯერ „შოკისმომგვრელი და პროვოკაციულია“.²

ისევ ტერმინს რომ დავუბრუნდეთ, ის ბოლომდე განსაზღვრული და ჩამოყალიბებული - არც დღეს არის თუნდაც იმიტომ, რომ ყველა სტილს და მიმდინარეობას მოიცავს 50-იანი წლებიდან მო-

¹ Krauss, The Sculpture, 1971.

² Шишкарёва, Новая, Вестник Науки, #8(41), Т5, 2021.

ყოლებული. როგორც უკვე აღვნიშნე, მუზეუმები და გალერეები დეფინიციასთან დაკავშირებულ პრობლემას თავს არიდებენ და “Modern and Contemporary Art”- იყენებენ ფრაზად. მაგრამ მედიის სხვადასხვა საშუალებაში, 2000 წლიდან მოყოლებულ ხელოვნებას - უკვე Contemporary Art-ს უწოდებენ. ეს თეორიული დისკურსი დღესაც გრძელდება (ბრაიან ეშბი,³ როზალინდა კრაუსი,⁴ რიჩარდ მეიერსი⁵ და ასე შემდეგ).

თვალს თუ გადავაგვლებთ ინტერნეტ-სივრცეში განფენილ მასალას და შევეცდებით შევაჯამოთ, იკვეთება ტენდენციები - 2000-იანი წლების ზოგიერთი ხელოვანი თანამედროვე ხელოვნება/ Contemporary Art ძალაუფლების ინსტრუმენტად მიიჩნევს „პოსტ-მოდერნისტულ საზოგადოებაში“, რასაც გლობალიზაციით გამოწვეული პროცესები დაემატა და პროფესიონალ ხელოვანებში შინაგანი პროტესტი და პესიმიზმი გააჩინა.

განვითარებული და ძლიერი ქვეყნების თანამედროვე ხელოვნების (Contemporary Art) ნამუშევრები გამოფენილია: გალერეების, კოლექციონერების, კომერციული კორპორაციების, სახელმწიფო ხელოვნების ორგანიზაციების, მუზეუმების თუ მხატვრების მიერ თავის მართულ სივრცეში (თბილისში, მაგალითად, ლევან ლალიძის გალერეა). როგორც ცნობილია, ხელოვანები ფინანსურ დახმარებას გრანტების, პრიზების საშუალებით, საკუთარი ნამუშევრების გაყიდვიდან იღებენ. საქართველოში, ჩვენთან, ეს სპონტანურ და ერთჯერად ხასიათს ატარებს, განსხვავებით დასავლური პრაქტიკისგან, სადაც თანამედროვე ხელოვნებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ინსტიტუტებსა და კომერციულ სექტორს შორის მჭიდრო ურთიერთობაა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ძირითადი თანამედროვე მხატვრების ნამუშევართა უმეტესობა, რომლებიც გამოფენილია საჯარო მუზეუმებში, შექმნილია რამდენიმე გავლენიანი ხელოვნების დილერისგან. მსგავსი მაგალითი მრავალია გერმანიაშიც და სხვაგანაც. იქ, დასავლეთში, თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტებს ხშირად აკრიტიკებენ ხელოვანები, დამოუკიდებელი ხელოვნებათმცოდნეები (ამ ტიპის საქმიანობას „ინსტიტუციური კრიტიკა“ ეწოდება), რაც საერთოდ არ იკვეთება საქართველოს კულტურის სფეროს საქმიანობაში.

³ Ashbee, How To Be.

⁴ Krauss, The Originality, 1985.

⁵ Фүллер, История, 2001, с.138-141.

პანდემიის პერიოდში მკვლევარმა პრაშან პარიხმა გამოაქვეყნა სტატია თანამედროვე ხელოვნების (Contemporary Art) და ენის ურთიერთობის ასპექტებზე.

ავტორის თვალსაზრისით,⁶ Contemporary Art-ის ნამუშევრები, ხშირად, ახსნას, ინტერპრეტაციას მოითხოვს, რაც საერთოდ არ იყო აუცილებელი, თუნდაც, რემბრანტისთვის... მას შემდეგ კი რაც ხელოვნება ფერწერიდან (იგულისხმება ტრადიციული გაგებით, ქ.ა.) სხვა ფორმებზე გადავიდა, მას ინტერპრეტაცია დასჭირდა, რადგან არ არსებობდა მისი მნიშვნელობის „გაგების“ პირდაპირი გზა.

პრაშან პარიხი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ნამუშევრები არ არის დამოუკიდებელი, ავტონომიური, როგორც ადრე და ისინი ნაწილობრივ, ინტერპრეტაციებისგან შედგება. ეთანხმება რა სხვა ავტორებს, ასევე მიიჩნევს, რომ თანამედროვე ხელოვნება კონცეპტუალურია და ტერმინი „Contemporary“ მის წარუმატებლობას აღიარებს... გვთავაზობს იდეას, რომ „ლინგვისტური ხელოვნება“ ეწოდოს ნამუშევრების დიდ ნაწილს, სადაც ენა გარეგნულ, ინტერპრეტაციულ როლს თამაშობს, განსხვავებით 1970-იანი წლების ნამუშევრებისგან, რომლებშიც ენა ნამუშევრის შინაგანი ელემენტია. გამოდის, რომ თუ ნამუშევრები არასრულია ინტერპრეტაციების გარეშე, მაშინ მათსა და საზოგადოებას შორის, არსებულ სოციოკულტურულ სივრცეში, შუამავალია აუცილებელი. მაყურებელთა უმეტესობას არ სურს კრიტიკის წაკითხვა, არამედ ხელოვნების ნიმუშების გამოცდილების გაზიარება უნდა და ამ ყველაფერმა კურატორის ინსტიტუტის გაძლიერება გამოიწვია.⁷

უნდა აღვნიშნოთ – დღეს, თანამედროვე ხელოვნების ენის განვითარების პროცესი მიმდინარეობს, რომელიც თავის, საკუთარ და განსხვავებულ გზას ეძებს. სწორედ ამ ახალი ენის მეშვეობით, ის თვითგამორკვევას ცდილობს. მკვლევრების თვალსაზრისით, თანამედროვე ხელოვნების ენობრივ სივრცეში მიმდინარე პროცესები აჩვენებს, რომ ამჟამინდელ დროსივრცულ და სოციოკულტურულ გარემოში ნაწარმოების გამოხატვის ფორმა – მთავარი ელემენტია მისი გაგებისთვის.

XX-XXI საუკუნეების ხელოვნება სულიერი ფასეულობების გადაფასების შედეგია. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ხელოვნების

⁶ Parikh, Contemporary, 2019.

⁷ Kracov, What Is, 2021.

ენა საინტერესოა თავისი, ხშირად დაფარული და გასააშიფრი შინაარსით. დარგის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ხელოვნების შინაარსში ნიშან-სიმბოლოების ტრანსფორმაცია შეიმჩნევა, რასაც ხელი შეუწყო ახალი ტექნოლოგიების, ინტერნეტის და ვირტუალური სამყაროს გაჩენამ. ახალი, თანამედროვე/Contemporary ხელოვნება თავისი გარკვეული მოდელით, მატრიცით არსებობს, რომელიც განსხვავდება ტრადიციული ხელოვნებისაგან.

XIX ბოლოდან მოყოლებული, XX საუკუნის დასაწყისის მხატვრების აღქმისა და გამოხატვის მათ მიერ შექმნილი პრინციპები შეიცვალა და გარკვეული პროტესტის ელემენტები გაუჩნდათ შემღვდვების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ გაჩნდა 1960-იანი წლებიდან „ტრანსგრესიული ხელოვნების“ ფენომენი (რაც ნიშნავს - ზღვრიდან გასვლას), რომელიც თავდაპირველად გამოჩნდა სიურრეალისტებში და ყველაზე მკაფიოდ კი ავანგარდულ ხელოვნებაში გამოიხატა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებულმა ისტორიულმა პროცესებმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს ხელოვნებაზე, ხშირად - ნეგატიური, როგორც მიიჩნევის ნაწილი მკვლევრებისა (მაგალითად, თეოდორ ადორნო⁸ - 1903/1968 და ჰანს როკმაკერი⁹ - 1922/1977), რაც გამოიხატა იმაში, რომ მხატვრებს აღარ უნდოდათ რეალობის ასახვა. პირიქით, მათ რეალობიდან გაქცევა სურდათ. სწორედ ამ დროს, ყველაზე მეტი ყურადღება აბსტრაქტულ ხელოვნებას დაეთმო.

დღეს ხელოვნება რთული ფენომენია და ამავე დროს, მძაფრი წინააღმდეგობებითაა სავსე. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ გარკვეული გაგებით, ხელოვნება კვდება... ამას ადასტურებს ხელოვნების ღრმა კრიზისი, თუმცა დღევანდელ აბსურდული ეპოქის სოციოკულტურულ სივრცეში შექმნილ თითოეულ ნამუშევარს თავისი საკუთარი ფორმა-შინაარსი, ხარისხი გააჩნია და ამასთან ერთად, მხატვრები „ერთგვარ ჩართულობას“ გვთავაზობენ მაყურებლის მხრიდან ჩვენი გრძნობა-შეგრძნებების დონეზე. და მაინც, თანამედროვე/Contemporary ხელოვნების ენას მივყევართ იმ გაურკვევლობამდე - „სად არის საზღვარი ხელოვნებასა და არა-ხელოვნებას შორის?“, რადგან, თუ თვალს გადავაავლებთ თუნდაც ბოლო ათწლეულში შექმნილ ნამუშევრებს (არა მარტი საქართ-

⁸ Халетт, Теория, 2016.

⁹ Рокмакер, Современное, 2004.

ველოს მასშტაბით), ნაკლებად დავინახავთ ახალ იდეებს, ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებას, აქცენტია – როგორ გამოხატოს იდეა ისე, რომ არ დარჩეს შეუმჩნეველი.

თუ ხელოვნება რთულია და წინააღმდეგობრივი, მაშინ, ასევე, რთულია ის სოციოკულტურული სივრცე-გარემო, სადაც იქმნება და განაგრძობს არსებობას. სოციოკულტურული სივრცის სტრუქტურა მრავალ ელემენტს შეიცავს (იგულისხმება – სხვადასხვა თემა, ესთეტიკური იდეალი და სოციალური ურთიერთქმედების ტიპი და ასე შემდეგ) და ელემენტები რეალიზებულია სოციალურ, ღირებულებით, სიმბოლურ, საინფორმაციო დონეზე. საერთოდ, სოციოკულტურული სივრცის ცნებას მკვლევრები კულტურის სისტემის მთლიანობაში გასაანალიზებლად გამოიყენებენ. ვიცით, რომ სოციალური სივრცე არის სოციალური ურთიერთობების სისტემა, მაგრამ „სოციოკულტურული სივრცის“ კატეგორია საზოგადოებისა და კულტურის ონტოლოგიური (ყოფიერების ანუ არსებობის არსი) ერთიანობის გამოვლენის საშუალებას იძლევა. მიიჩნევა, რომ ეს არის განუყოფელი ფენომენი, რომელიც აერთიანებს საზოგადოების სოციალური და კულტურული განვითარების ძირითად პარამეტრებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ხელოვნება აწმყოს ხელოვნებაა, რომელიც ოცდამეერთე საუკუნეში, ცოცხალმა მხატვრებმა შექმნეს. თანამედროვე ხელოვნება იძლევა შესაძლებლობას დაფიქრდეთ (ხელოვანიც და მაყურებელიც) ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროზე, დღევანდელ სოციალურ საკითხებზე, რომლებიც აქტუალურია კაცობრიობისთვის. თანამედროვე მხატვრები გლობალური გავლენის ქვეშ მუშაობენ, კულტურულად ძალიან მრავალფეროვან და მოწინავე ტექნოლოგიურ სამყაროში. ეს ხელოვნება – მასალების, ცნებების, მეთოდებისა და საგნების დინამიკური კომბინაციაა, რომლებიც აპროტესტებენ ტრადიციულ საზღვრებს და ეწინააღმდეგებიან მარტივ გაგებას ან განმარტებას. ეკლექტიკური და მრავალფეროვანი, თანამედროვე ხელოვნება მთლიანად, ერთიანი, იდეოლოგიის, ორგანიზაციული პრინციპის ძირითადი არარსებობით გამოირჩევა. ეს ხელოვნება კულტურული დიალოგია, რომელიც კონტექსტუალურ ჩარჩოებს ეხება, როგორცაა პიროვნული ან კულტურული იდენტობა, სოციალური პრობლემები და საკითხები, საზოგადოება და ეროვნება. ასე განსაზღვრავს დღეს მსოფლიო – თანამედროვე ხელოვნებას. ამ ურ-

თიერთობაში, საკითხის – „მხატვარი-ნამუშევარი-მაყურებელი“ – ასეთ ჭრილში დანახვა და განხილვაა საინტერესო.

როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, თანამედროვე ხელოვნების ბრიკი საზოგადოების მოტივაციაა, შევიდეს დიალოგში ავტორთან, ინტერპრეტაცია და რეაგირება მოახდინოს მასზე. კლასიკურ ხელოვნებასთან ურთიერთობისას, ნაწარმოების ჭვრეტაა საჭირო, ასეთი დამოკიდებულება ეფექტურად არ ითვლება დღევანდელ თანამედროვე ხელოვნებასთან მიმართებაში. უცხოელი მკვლევრები მას „საწოლის ნამსხვრევებს“ („bedcrumb“) ეძახიან, რომელიც გვალვით და გვაიძულებს მოძრაობას. თუ ადრე ხელოვნებასთან კომუნიკაციაში მაყურებელი ძირითადად პასიური იყო, ახლა ეს ნამდვილი „ჩოვბურთია“, სადაც ხელოვნების არსებობის შესაძლებლობა მაყურებლის გარეშე საეჭვოა. და თქვენ, მხატვრის თავში უნდა შეხვიდეთ და მიჰყვით იმ მარშრუტს, რომელიც მან შემოგთავაზათ, რათა სრულად ჩასწვდეთ ნაწარმოებს. ზოგჯერ ავტორი შეიძლება ზედმეტად აღფრთოვანდეს და მოემსახუროს კონცეფციას იმ ინტენსივობით, რომლისთვისაც მაყურებელი მზად არ არის.¹⁰

მაგრამ, შეიძლება თუ არა ხელოვნება განსხვავებული იყოს ინტერნეტისა და ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში? ამაზე პასუხს იპოვით Christies-ის თანამედროვე ხელოვნების აუქციონის მასალებში, რომელიც 2022 წელს ჰონგ-კონგში შედგა, სადაც ნამუშევრების ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი. აუქციონზე კარგად ჩანდა ხელოვნების ძირითადი მიმდინარეობები ომისშემდგომი პერიოდიდან თანამედროვე დრომდე, რომელიც ფერწერას, ქანდაკებასა და ინსტალაციას, პერფორმანსის ხელოვნებას, ფოტოგრაფიას, ვიდეო-არტს, ციფრულ ხელოვნებას მოიცავდა.

ეს იყო ნათელი პრეზენტირება იმ ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედების, რომელიც ასახავს დღევანდელ სოციოკულტურულ კონტექსტს და მსოფლიოს უპრეცედენტო ციფრულ ტრანსფორმაციას. ხელოვნების ასეთი გლობალური ბაზრის ტენდენციების შესახებ ეს აუქციონი, პირდაპირი აღფრთოვანების გარდა, გვიჩვენებს აზიის მზარდ გავლენას ხელოვნების ბაზარზე, გვეხმარება ვნახოთ ისეთი ნამუშევრები, რომლებიც XXI საუკუნის ხელოვნებას განსაზღვრავს და ჩავერთოთ მასში.¹¹

¹⁰ Hertzmann, What is, 2020.

¹¹ An Introduction to Modern and Contemporary Art.

თანამედროვე ხელოვნების ტენდენციების გარკვევა-შესწავლისთვის ძალიან მიყვარს ხელოვნების ბაზრობები. აქ გვეძლევა უნიკალური გარემო, რომელიც მხატვრებს, კურატორებს, გალერისტებს და ხელოვნების კოლექციონერებს აერთიანებს. ხელოვნებას ფართო საზოგადოებისთვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის და ხელოვნების, კულტურის, ისტორიისა და იდენტობის შესახებ დიალოგისთვისაა საჭირო და მნიშვნელოვანი. სამწუხაროდ, საქართველოში, რამდენიმე შემთხვევის გამოკლებით (Art Fair Georgia), ხელოვნების ასეთი გეიმი მხოლოდ სანატრელია. მხატვრებს ძალიან დიდი მხარდაჭერა სჭირდებათ, სანამ მათი ნამუშევრები ბაზარს მიაღწევს, რის გამოც ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია, ხელოვანთა ინსტიტუტები იყოს მხარდაჭერილი. ამ ინსტიტუტების გარეშე, ჩვენ არ გვეყოლება ბევრი ხელოვანი, ისეთი დიდი სახელებით, როგორებიცაა მდიდარია ქართული სახვითი ხელოვნება. მაგრამ, ასევე, დარწმუნებული ვარ, რომ არასაკმარისია ყურადღება თავად ხელოვანების მიმართ და ისინი უშუალოდ მხარდაჭერას საჭიროებენ.

თანამედროვე ხელოვნების სფეროში მიმდინარე, მსოფლიოს მასშტაბით, საინტერესო და არაერთგვაროვანი პროცესების ფონზე, როცა ყველა ტიპის ხელოვნების მრავალი სახეობა ერთმანეთთან დაკავშირებულია, ხშირად, გაურკვეველია - თუ სად მთავრდება ერთი ტიპი და სად იწყება მეორე, იმდენად არიან მჭიდროდ გადაჯაჭვულები. საკმაოდ რთული მდგომარეობაა ქართულ სახვითი ხელოვნების სივრცეში.

მოგესხენებათ, მხატვრობა ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ფორმაა დღემდე. რაც შეეხება ქანდაკებას, ტექნოლოგიური განვითარებით, მასალის მრავალფეროვნებით, უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა. ეს მსოფლიოს დონეზე. ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში, მოქანდაკებს არანაირი შესაძლებლობა არ აქვთ ახალი მასალებისა და ტექნიკის გამოყენების თვალსაზრისით, ამის გამო ძალიან ბევრი უნიჭიერესი მოქანდაკე ქვეყნის გარეთ მუშაობს (ჯონი გოგაბერიშვილი, ვალერიან ჯიქია და ასე შემდეგ) და მათი ნამუშევრებიც სხვა ქვეყნების კულტურის ნაწილი ხდება. აქ კი ჩვენთან, ისინი მოკლებული არიან ექსპერიმენტების საშუალებით ახალი გზების უწყვეტ ძიებას (მატერიალური ბაზისა და საარსებო სახსრების არარსებობის გამო). სირთულეებია ყველა დარგში...

სტატიის ფორმატი არ გვადლევს ღრმა ანალიზის საშუალებას, ამიტომ შევამებისთვის ვიტყვი, რომ თანამედროვე ხელოვნება/ Contemporary Art საზოგადოებაზე რეფლექსიის შესაძლებლობას იძლევა და ხშირად, იმ საკითხებს, ღირებულებებს ასახავს, რომლებიც ამ დრო-სივრცეში მსოფლიოში მნიშვნელოვანია. თანამედროვე ხელოვნება გადმოსცემს ჩვენი დროის იდეებს, კონცეფციებს, სცილდება ტრადიციული ხელოვნების საზღვრებს და თავად ხელოვნების საზღვრებს, როგორც ეს გაგებული და მიღებული იყო თანამედროვე ანუ - Modern და კლასიკური ხელოვნების დროს.

ბიბლიოგრაფია:

- An Introduction to Modern and Contemporary Art. <https://education.christies.com/courses/continuing-education/semester-courses/an-introduction-to-modern-and-contemporary-art> 23.09.2024.
- Ashbee B., How To Be A Critic: A Beginner's Guide To 'Artbollocks.' <https://static1.squarespace.com/static/588b77c0b8a79be9aed248bc/t/5c8e025471c10b4ed9c2a0aa/1552810580774/HOW+TO+BE+A+CRITIC%3A+A+BEGINNER%27S+GUIDE+TO+%27ARTBOLLOCKS.%27+Brian+Ashbee.pdf> 23.09.2024.
- Hertzmann A., What is Contemporary Art?, 2020. <https://aaronhertzmann.com/2020/06/08/wica.html> 23.09.2024.
- Kracov D., What Is Contemporary Art?, EDEN Gallery, 2021. <https://www.eden-gallery.com/news/what-is-contemporary-art> 23.09.2024
- Krauss R. E., The Sculpture of David Smith, Cambridge, Massachusetts, 1971.
- Parikh P., Contemporary Art and Language, 2019. <https://medium.com/@pparikh1/contemporary-art-and-language-340bf7acdb75> 23.09.2024.
- What Is Contemporary Art? A Look at Modern Contemporary Art of Today. <https://medium.com/@pparikh1/contemporary-art-and-language-340bf7acdb75> 23.09.2024
- Гардари Д., Современное Искусство, Терминология, Истоки, 2023. <https://gardari.art/article3/tpost/icgvxyrta1-sovremennoe-iskusstvo-terminologiya-isto> 23.09.2024
- Ищенко Н. С., Социокультурное Пространство Как Статическая Характеристика Социокультуры.pdf/ <https://docs.yandex.ru/docs/view?tm=1689262563&tld> 23.09.2024
- Күчинская Т. Н., 2013; Резник Ю. М., 2012; Ищенко Н.С., 2017. <https://docs>.

- yandex.ru/docs/view?tm=1689262877/01005095765.pdf 23.09.2024.
- Оуэн Х., Теория Эстетической И Философской Истины Теодора Адорно: Своеобразие и Проявления, 2016. <https://concepture.club/post/obrazovanie/adorno-on-the-crimes-of-pop-culture> 23.09.2024
 - Шишкарева Я. Д., Новая Форма Языка Современного Искусства, Вестник Науки, #8(41), Т5, 2021. <https://cyberleninka.ru/article/n/novaya-forma-yazyka-sovremennogo-iskusstva> 23.09.2024
 - Рокмакер Р., Современное Искусство и Смерть Культуры, 2004. <https://slovo.net.ru/book/18916> 23.09.2024
 - Якуб И., Современное Искусство: История Возникновения, Основные Направления, 2020/ <https://rekvizit.info/blogs/sovremennoe-iskusstvo-istoriya-vozniknoveniya-osnovnye-napravleniya/> 23.09.2024
 - კონტემპორარული (თანამედროვე) ხელოვნება - განმარტება და ისტორია, 2013. <http://popularpopcorn.blogspot.com/2013/06/blog-post.html> 23.09.2024.

Ketevan Akhobadze,
Doctor of Social Sciences (PhD) Shota Rustaveli Theatre and
Film University

Abstract

The work is dedicated to the problems of contemporary Georgian fine art in the current socio-cultural environment that exists in Georgia in this time-space dimension. In many countries of the XXI century, the socio-cultural situation has completely changed and the changes found an echo in the field of culture, especially in fine arts. We will probably try to present the existing problems and ways to solve them.

THE RANGE OF PROBLEMS OF GEORGIAN FINE ART IN THE MODERN SOCIOCULTURAL ENVIRONMENT

Keywords: culture, fine art, contemporary art, sociocultural environment, cultural crisis

As we know, a process is a sequential turn of certain events, a way of something's development, or progress.

Modern art, which is called Contemporary art, refers to today's art production. As we know, in the English language the words "modern" and "contemporary" are synonymous, although the terms "modern art" and "contemporary art" are completely different, broad, and devoid of particularities.

Many researchers work on these issues, so their points of view are also different, but everyone agrees on one matter the beginning of great changes in art is manifested after the Second World War and especially in the 60s, when many new styles, movements emerged and cardinal changes about human existence occurred in the worldview of artists (not only artists).

In the 20s of the 21st century, when the terms "Modern Art" and "Contemporary Art" were applied, due to their vagueness, museums and galleries found a solution and used the phrase "Modern and Contemporary Art" when organizing exhibitions.

Therefore, they avoid the problem. However, as many experts point out, commercial galleries and other institutions have called the art from 2000 onwards- “Contemporary Art”, specifically the picture drawer - the “painter”, and the creator of another field - the “artist”.

The term “Contemporary art” has its history of origin. Unfortunately, the format of the article does not allow us to expand it, but we cannot fail to mention that the American art historian and critic - Rosalind Krauss, with her thesis written on the works of David Smith,¹ Established this term in the scientific environment in some way.

Critics believe that Contemporary Art is „genetically related to the art of avant-garde or modernism, but represents a new round of pictorial languages with an emphasis on specific linguistic models (which is characteristic for all other types of culture and forms of knowledge of this period). It includes a growing range of techniques, both with the development of technology, and with the knowledge of a human - the knowledge of himself, his place in the world.” The thematic spectrum of contemporary art is infinitely wide, which responds to any manifestation of human activity, and in recent decades, it is sometimes “shocking and provocative”.²

Coming back to the term, it is not fully defined and established - it is not even today, even because it covers all styles and movements from the 50s onwards. As I mentioned earlier, museums and galleries avoid the problem of definition and use “Modern and Contemporary Art” as a phrase. But in various media, art since 2000 is already called Contemporary Art. This theoretical discourse continues today (Brian Ashbee,³ Rosalinda Krauss,⁴ Richard Meyers,⁵ etc.)...

If we take a look at the material scattered in the Internet space and try to summarize it, we can see the trends that some artists of the 2000s consider that Contemporary Art “has become an instrument of power in the “post-modern society”, to which the processes caused by globalization have been added and created internal protest and

¹ Krauss, *The Sculpture*, 1971.

² Шишкарёва, Новая, *Вестник Науки*, #8(41), T5, 2021.

³ Ashbee, *How To Be*.

⁴ Krauss, *The Originality*, 1985.

⁵ Фуллер, *История*, 2001, с.138-141.

pessimism among professional artists.

Contemporary Artworks of developed and powerful countries are exhibited by: galleries, collectors, commercial corporations, state art organizations, museums, or in their own space managed by artists (in Tbilisi, for example: Levan Lagidze Gallery). As it is known, artists receive financial support through grants, prizes, and the sale of their works. In Georgia, with us, it is spontaneous and one-time, unlike the Western practice, where there is a close relationship between the state institutions related to contemporary art and the commercial sector. In Great Britain, for example, most works by major contemporary artists exhibited in public museums are purchased from a few influential art dealers. There are many similar examples in Germany, etc. There, in the West, contemporary art institutions are often criticized by artists, and independent art experts (this type of activity is called “institutional criticism”), which is not at all reflected in the activity of the Georgian cultural environment.

During the pandemic, researcher Prashant Parikh (2019) published an article on aspects of the relationship between Contemporary Art and language.

From the point of view of the author,⁶ the works of Contemporary Art often require explanation, and interpretation, which was not necessary at all, even for Rembrandt... And after art moved from painting (meaning in the traditional sense, K.A) to other forms, it needed interpretation, because there was no direct way to “understand” its meaning. Prashant Parikh believes that modern works are not as independent, and autonomous, as before and they are partly made up of interpretations. Agreeing with other authors, he also believes that contemporary art is conceptual, and the term “Contemporary” admits its failure... Proposes the idea of calling “linguistic art” a large part of the works where language plays an external, interpretive role, in contrast to the works of the 1970s in which language is an intrinsic element of the work.

It turns out that if the works are incomplete without interpretations, then a mediator is necessary between them and society, in the existing socio-cultural environment. Most viewers do not want to

⁶ Parikh, Contemporary, 2019.

read criticism but want to share the experience of masterpieces of art, and all this has led to the strengthening of the curatorial institution.⁷

It should be noted that today, the process of developing the language of contemporary art is underway, which is looking for its different way. It is through this new language that it tries to self-determine. From the point of view of the researchers, the processes taking place in the language space of contemporary art show that in the current time-spatial and socio-cultural environment, the form of expression of the work is the main element for its understanding. The art of the XX-XXI centuries is the result of the reevaluation of spiritual values.

That is why the language of contemporary art is interesting for its often hidden and decipherable content. Experts in the field believe that the transformation of signs and symbols in the content of art is observed, which was facilitated by the emergence of new technologies, the Internet, and the virtual world. New, modern/Contemporary art exists with its model, matrix, which differs from traditional art.

From the end of the 19th to the beginning of the 20th century, the principles of perception and expression created by the artists changed, and certain elements of protest against restrictions appeared. That is why the phenomenon of “transgressive art” (which means - going beyond the margin) emerged in the 1960s, which first appeared in the surrealists and was most clearly expressed in avant-garde art.

The historical processes and technological progress that developed after the Second World War had a certain impact on art, often - negative, as some researchers believe (for example, Theodor Adorno⁸ - 1903/1968 and Hans Rockmaker⁹ - 1922/1977), which was manifested in the fact that artists no longer wanted to reflect reality. On the contrary, they wanted to escape from reality. At this time, the most attention was paid to abstract art.

Today art is a complex phenomenon, and at the same time, it is full of strong contradictions. Some researchers believe that in a

⁷ Красов, What Is, 2021.

⁸ Халетт, Теория, 2016.

⁹ Рокмакер, Современное, 2004.

certain sense, art is dying... This is confirmed by the deep crisis of art, however, each work created in the socio-cultural environment of today's absurd era has its form-content, degree, and at the same time, artists offer a "kind of involvement" to the viewer - at the level of our feeling-sensations. And yet, the language of modern/Contemporary art leads us to obscurity - "Where is the border between art and non-art?!" If we look at the works created even in the last decade (not only throughout Georgia), we will see fewer new ideas, the search for new expressive forms, and the emphasis is how to express an idea so that it does not go unnoticed.

If art is complex and contradictory, then the socio-cultural space-environment where it is created and continues to exist is also complex. The structure of the sociocultural space contains many elements (meaning - different themes, aesthetic ideals, types of social interaction, etc.), and the elements are realized at the social, value, symbolic, and informational levels. Generally, researchers use the concept of sociocultural space to analyze the cultural system as a whole.

We know that social space is a system of social relations, but the category of "socio-cultural space" allows us to reveal the ontological (essence of existence) integrity of society and culture. It is considered to be an integral phenomenon that combines the main parameters of social and cultural development of society.

As mentioned earlier, contemporary art is the art of the present, which is created by live artists in the twenty-first century. Contemporary art provides an opportunity to think (for both the artist and the viewer) about today's social issues, and the world around us, which are relevant for mankind. Contemporary artists work under global influence, in a very culturally diverse and technologically advanced world. This art is a dynamic combination of materials, concepts, methods, and subjects that challenge traditional boundaries and defy easy understanding or definition. Eclectic and diverse, contemporary art is distinguished by the basic absence of a whole, unified, ideological, organizational principle.

This art is a cultural dialogue that deals with contextual frameworks such as personal or cultural identity, social problems

and issues, society, and nationality. This is how the world defines contemporary art. In this relationship, it is interesting to see and discuss the issue from such a perspective – “artist-work-viewer”.

As experts believe, the trick of contemporary art is to motivate society to enter into a dialogue with the author, to interpret and react to it. When dealing with classical art, it is necessary to contemplate the work, such an attitude is not considered effective in dealing with today’s contemporary art. Foreign researchers call it “breadcrumb”, which wakes us up and makes us move. If earlier the viewer was mostly passive in communication with art, now it is a real “tennis”, where the possibility of the existence of art without the viewer is doubtful. And you have to get inside the artist’s head and follow the route” he suggested to fully understand the work. Sometimes the author can get too excited and serve the concept with such intensity that the viewer is not ready for it.¹⁰

But can art be different in the age of the internet and artificial intelligence? You will find the answer to this in the materials of Christie’s contemporary art auction, which took place in Hong Kong in 2022, where a wide range of works was presented. The main trends in art from the post-war period to modern times were well visible at the auction, which included painting, sculpture and installation, performance art, photography, video art, and digital art. It was a vivid presentation of the work of young artists that reflects today’s socio-cultural context and the unprecedented digital transformation of the world. In addition to direct excitement about such global art market trends, this auction shows the growing influence of Asia on the art market, helping us to see and engage with the works that define 21st-century art.¹¹

I love art fairs to find out about contemporary art trends. Here we are given a unique environment that brings together artists, curators, gallerists, and art collectors. It makes art more accessible to the wider society and is necessary and important for dialogue about art, culture, history, and identity. Unfortunately, in Georgia, except in a few cases (art fair Georgia), such a celebration of art is only longed-

¹⁰ Hertzmann, What is, 2020

¹¹ An Introduction to Modern and Contemporary Art.

for. Artists need a lot of support before their work reaches the market, which is why I think it's important that artists' institutions be supported. Without these institutions, we would not have many artists with such big names, by which Georgian fine art is rich. But also, I am convinced that there is insufficient attention to the artists themselves and they need direct support.

Against the background of the current, worldwide, interesting, and heterogeneous processes in the field of contemporary art, when many types of art of all types are connected, it is often unclear – where one type ends and where the other begins, so closely are they intertwined. The situation in the Georgian fine arts environment is quite difficult.

As you know, painting is one of the most relevant forms of art today. As for sculpture, with technological development and the variety of materials, more opportunities were given. This is at the world level. In our country, Georgia, sculptors do not have any opportunities in terms of using new materials and techniques, because of this many talented sculptors work outside the country (J. Gogaberishvili, V. Jikia, etc.) and their works also become part of the culture of other countries. And here with us, they lack the continuous search for new ways through experimentation (due to lack of material base and means of livelihood). There are difficulties in all fields...

The format of the article does not allow us to do a deep analysis, so to summarize, I would like to say that Contemporary art provides an opportunity to reflect on society and often manifests the issues and values that are important in the world at this time and space. Contemporary art conveys the ideas, and concepts of our time. It goes beyond the margins of traditional art and the margins of art itself, as it was understood and accepted at the time of Modern and Classical Art.

Bibliography:

- An Introduction to Modern and Contemporary Art. <https://education.christies.com/courses/continuing-education/semester-courses/an->

-
-
- [introduction-to-modern-and-contemporary-art](#) 23.09.2024
- Ashbee B., How To Be A Critic: A Beginner's Guide To 'Artbollocks.' <https://static1.squarespace.com/static/588b77c0b8a79be9aed248bc/t/5c8e025471c10b4ed9c2a0aa/1552810580774/HOW+TO+BE+A+CRITIC%3A+A+BEGINNER%27S+GUIDE+TO+%27ARTBOLLOCKS.%27+Brian+Ashbee.pdf> 23.09.2024
 - Hertzmann A., What is Contemporary Art?, 2020. <https://aaronhertzmann.com/2020/06/08/wica.html> 23.09.2024
 - Kracov D., What Is Contemporary Art?, EDEN Gallery, 2021. <https://www.eden-gallery.com/news/what-is-contemporary-art> 23.09.2024
 - Krauss R. E., The Sculpture of David Smith, Cambridge, Massachusetts, 1971.
 - Parikh P., Contemporary Art and Language, 2019. <https://medium.com/@pparikh1/contemporary-art-and-language-340bf7acdb75> 23.09.2024
 - What Is Contemporary Art? A Look at Modern Contemporary Art of Today. <https://medium.com/@pparikh1/contemporary-art-and-language-340bf7acdb75> 23.09.2024
 - Гардари Д., Современное Искусство, Терминология, Истоки, 2023. <https://gardari.art/article3/tpost/icgvxyrta1-sovremennoe-iskusstvo-terminologiya-isto> 23.09.2024
 - Ищенко Н. С., Социокультурное Пространство Как Статическая Характеристика Социокультуры.pdf/ <https://docs.yandex.ru/docs/view?tm=1689262563&tld> 23.09.2024
 - Кучинская Т. Н., 2013; Резник Ю. М., 2012; Ищенко Н.С., 2017. <https://docs.yandex.ru/docs/view?tm=1689262877/01005095765.pdf> 23.09.2024
 - Оуэн Х., Теория Эстетической И Философской Истины Теодора Адорно: Своеобразие и Проявления, 2016. <https://concepture.club/post/obrazovanie/adorno-on-the-crimes-of-pop-culture> 23.09.2024
 - Шишкарева Я. Д., Новая Форма Языка Современного Искусства, Вестник Науки, #8(41), Т5, 2021. <https://cyberleninka.ru/article/n/novaya-forma-yazyka-sovremennogo-iskusstva> 23.09.2024
 - Рокмакер Р., Современное Искусство и Смерть Культуры, 2004. <https://slovo.net.ru/book/18916> 23.09.2024
 - Януб И., Современное Искусство: История Возникновения, Основные Направления, 2020/ <https://rekvizit.info/blogs/sovremennoe-iskusstvo-istoriya-vozniknoveniya-osnovnye-napravleniya/> 23.09.2024
 - კონტემპორარული (თანამედროვე) ხელოვნება - განმარტება და ისტორია, 2013. <http://popularpopcorn.blogspot.com/2013/06/blog-post.html> 23.09.2024
-
-